ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 218

"8" სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს" (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულებაში" ცვლილებების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127^2 მუხლის მე-2 პუნქტის, ასევე, 163^3 მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრის №20.993.1241 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრის №20.993.1241 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - „აუქციონატორი”), წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ და

მეორე მხრივ, შპს „ინდუსტრიულ ქალაქი“ (ს/ნ: 404580191), წარმოდგენილი დირექტორის, ვალერი ჩეხერიას მიერ (პ/ნ: [-]) (შემდგომში - „აუქციონში გამარჯვებული/მყიდველი“),

(შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“)

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის [-] [-] N[-] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის [-] [-] N[-] განკარგულებების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეებს შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შევიდეს ცვლილებები და ხელშეკრულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვროს 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულ ვალუტა ლარში ინვესტიციის განხორციელების მომენტში დადგენილი ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების გაფორმების თარიღში (2019 წლის 23 სექტემბერი) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსისა ((2.9759). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის განხორციელების მომენტში ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის ლართან მიმართებით დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მაჩვენებელი იქნება პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მაჩვენებელზე დაბალი, განხორციელებული

ინვესტიციის ოდენობა გამოითვლება მისი განხორციელების მომენტში არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საინვესტიციო ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 წლის ვადაში, შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

ა) არაუგვიანეს 2021 წლის 23 სექტემბრისა - არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

ბ) არაუგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

გ) არაუგვიანეს 2023 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

დ) არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით.".

2. მყიდველი ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში გააგრძელოს ხელშეკრულების ფარგლებში აუქციონატორის სასარგებლოდ წარდგენილი საბანკო გარანტია ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი ვადის შესაბამისად. მყიდველის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, აუქციონატორი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება.

3. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.

4. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით,

_____

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი,
ირაკლი თავართქილაძე

შპს „ინდუსტრიული ქალაქი" (ს/ნ: 404580191)

_____

დირექტორი,
ვალერი ჩეხერია